მრავალპროფილიანი
საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი

სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

2024-2025

2024-2025

www.collegeimedi.edu.ge
www.imediprof.edu.ge

მოკლე შეჯამება

მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი ყოველწლიურად ადგენს სამოქმედო გეგმას, რომელიც მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას, პროფესიული პროგრამების განვითარებას, სტუდენტთა მხარდაჭერის გაძლიერებასა და პარტნიორული ქსელის გაფართოებას. წინამდებარე ანგარიში ასახავს 2024 წლის 23 სექტემბრიდან 2025 წლის 23 სექტემბრამდე პერიოდში განხორციელებულ აქტივობებს.

დოკუმენტი მომზადებულია შიდა მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით და განხილული იქნა კოლეჯის ადმინისტრაციასა , პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ერთად. განხილვაში მონაწილეობდნენ კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.

სამოქმედო გეგმის 68 აქტივობიდან სრულად შესრულდა 65, ხოლო 1 აქტივობა („ინტერნაციონალიზაციის“ მიმართულება) შესრულდა ნაწილობრივ, ხოლო ერთი ამოცანის შესრულების საჭიროება არ დამდგარა(აღნიშნული გეგმაშიც ამ სტატუსით იყო წარმოდგენილი(საჭიროებისამებრ). შესაბამისად, კოლეჯის შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 98.5%-ს, რაც ადასტურებს სამოქმედო გეგმის თითქმის სრულად განხორციელებას და კოლეჯის ეფექტიან მუშაობას.

მისია

თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების, სახელმწიფოს პრიორიტეტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება; მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების შესაძლებლობის ხელშეწყობა; პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე/თანამშრომლებზე ორიენტირებული თანამედროვე სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა; კოლეჯსა და რეალურ ბიზნესს შორის მყარი, ურთიერთეფექტური თანამშრომლობის მექანიზმების განვითარება; შეთავაზებული მრავალპროფილიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საზოგადოების მოთხოვნებთან და შრომის ბაზართან ჰარმონიზაცია

ხედვა

კოლეჯსა და ბიზნესს შორის მყარი, ურთიერთეფექტური პარტნიორობით 2027 წლისთვის იყოს ერთ-ერთი წარმატებული მრავალპროფილიანი კოლეჯი, რომელიც რეალურ ხარისხზეა ორიენტირებული. უზრუნველყოს დაინტერესებულ პირთათვის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების განვითარება, სწავლის პერიოდშივე პროფესიული სტუდენტების/მსმენელების რეალურ სამუშაო პროცესებში ჩართვა, ინოვაციების, გამოცდილებისა და რესურსების ურთიერთგაზიარება.

ღირებულებები

კოლეჯის საქმიანობის პრინციპები და წესები უზრუნველყოფს სამართლიანი, ჰუმანური, თანასწორი, კონკურენტუნარიანი, ხელმისაწვდომი, პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე/ თანამშრომელზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამუშაო გარემოს არსებობას, სადაც ყველას აქვს არჩევანის, ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღების და თვითგამოხატვის თავისუფლება.

კოლეჯის საქმიანობის შეფასების მნიშვნელობა

- კოლეჯის საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება არის სტრატეგიული გეგმის განხორციელების ეფექტიანობის, შედეგიანობისა და რელევანტურობის განსაზღვრის მთავარი მექანიზმი. პროცესი უზრუნველყოფს სანდო ინფორმაციის მიღებას კოლეჯის საქმიანობაზე, ძლიერი მხარეების და გაუმჯობესების საჭიროებების იდენტიფიცირებას, ხოლო რეკომენდაციები პირდაპირ უართრდება კოლეჯის შემდგომ განვითარებას.
- მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემები გვაძლევს შესაძლებლობას განვსაზღვროთ ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლები (KPI) და მკაფიოდ დავინახოთ, რამდენად ხარისხიანად ასრულებენ სტრუქტურული ერთეულები და პასუხისმგებელი პირები სამოქმედო გეგმით დაკისრებულ პასუხისმგებლობებს. ამ საფუძველზე კოლეჯი გეგმავს ცვლილებებს და ახორციელებს გაუმჯობესების მიზნობრივ ღონისძიებებს.
- შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯში იმედი მონიტორინგი და შეფასება მოიცავს 2024–2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული აქტივობების შესრულების ხარისხს, მიღწეულ შედეგებსა და პასუხისმგებელი პირების საქმიანობის შეფასებას. პროცესი მართავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოლეჯის ადმინისტრაციასთან კოორდინაციით, ხოლო დასკვნები და რეკომენდაციები გაზიარებულია ყველა შესაბამის მხარეს.
- KPI – ძირითადი მაჩვენებლების მაგალითები (ანგარიშში):
- დაგეგმილი vs შესრულებული აქტივობების პროცენტი;
- ვადებში დასრულებული აქტივობების წილი;
- ვერიფიკაციით იდენტიფიცირებული საკითხების გამოსწორება;
- პერსონალის განვითარების ღონისძიებებში ჩართულობა;
- სტუდენტური და დამსაქმებელთა კმაყოფილების ინდექსი;
- საგანმანათლებლო რესურსებისა და IT ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი.

ხარისხის უზრუნველყოფა (დაგეგმვა, განხორციელება,შეფასება, განვითარება)

ხარისხი კოლეჯის საქმიანობის საფუძველი და განვითარების მთავარი მიმართულებაა. ხარისხზე ორიენტირებული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა, სერვისი და აქტივობა პასუხობდეს სტუდენტების, დამსაქმებლებისა და საზოგადოების საჭიროებებს, ქმნიდეს სანდო და კონკურენტუნარიან გარემოს და აძლიერებდეს კოლეჯის პოზიციას როგორც პროფესიული განათლების წამყვან დაწესებულებას.



- ჩატარდა პროგრამის განმახორციელებელი პირების, ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა;
- პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილების, საჭიროებების კვლევა
- შეფასდა საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხი, პერსონალის პროფესიული განვითარება და მართვის ეფექტიანობა;
- ჩატარდა სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევა;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ხარისხის შეფასება;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაცია;
- კვლევის შედეგების საფუძველზე მომზადდა რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, სტუდენტური მხარდაჭერის ღონისძიებების სრულყოფისთვის.
- უზრუნველყოფილ იქნა მიღებული უკუკავშირის დროული ანალიზი და რეაგირება;

კვლევის ყველა პარამეტრის ანალიზით სტუდენტთა, მსმენელთა და პერსონალის კმაყოფილება საშუალოდ 95 % პროცენტს შეადგენს



ასევე, კოლეჯში მუდმივად ხორციელდება მონიტორინგი, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო პროცესების ხარისხს, ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის სისწორესა და ხელმისაწვდომობას, ასევე ელექტრონულ მართვის სისტემაში ასახული მონაცემების სიზუსტეს. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას, ინფორმაციის დროულ განახლებას და სწავლის პროცესში ჩართული ყველა მხარის – სტუდენტების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის – საიმედო მხარდაჭერას.

ეთიკა, კეთილსინდისიერება და პერსონალური მონაცემების დაცვა

- შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედისთვის უმნიშვნელოვანესია სტუდენტებისა და პერსონალის უფლებების დაცვა, ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დამკვიდრება. კოლეჯი მიიჩნევს, რომ ხარისხიანი განათლება შეუძლებელია გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და პასუხისმგებლობის გარეშე. სწორედ ამიტომ, ეთიკური სტანდარტების, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და მონაცემთა დაცვის საკითხები მუდმივადაა კოლეჯის დღის წესრიგში.
- აღნიშნული მიმართულების გასაძლიერებლად, საანგარიშო პერიოდში კოლეჯში გაიმართა სხვადასხვა ფორმატის შეხვედრები. შეხვედრები მიზნად ისახავდა ცნობიერების ამაღლებას სტუდენტებსა და პერსონალში იმ მექანიზმების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფს უფლებების დაცვას, სამართლიან ურთიერთობებსა და კეთილსინდისიერ ქცევას სასწავლო პროცესში.
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებს, რაც თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოსთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ჩატარდა ტრენინგები, სადაც პერსონალს მიეწოდა ინფორმაცია მონაცემთა უსაფრთხოების პრინციპებზე, საერთაშორისო სტანდარტებზე და იმ პრაქტიკებზე, რომლებიც იცავს როგორც სტუდენტების, ისე თანამშრომლების პირად ინფორმაციას.
- ასევე, ჩატარდა ტრენინგები ციტირების ერთიანი წესის გაცნობისა და პლაგიატის პრევენციის მიმართულებით. მონაწილეებს გააცნეს საერთაშორისო გამოცდილება პლაგიატის გამოვლენისა და აღმოფხვრის მექანიზმების შესახებ. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურის განმტკიცებას, რაც პირდაპირ აისახება საგანმანათლებლო პროცესის ხარისხსა და კოლეჯის სანდოობაზე.

უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემო

- საანგარიშო პერიოდში კოლეჯში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას. კოლეჯის ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება შრომის უსაფრთხოების ეროვნული სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის დაცულობას.
- ინფრასტრუქტურული მიმართულებით, შენობაში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია, განთავსებულია მოქმედი ცეცხლმაქრები და უზრუნველყოფილია საევაკუაციო გასასვლელით. საგანგებო სიტუაციებში სწრაფი რეაგირებისათვის ყველა სართულზე განთავსებულია მკაფიო სანიშნეები.
- კოლეჯში სისტემატურად ხორციელდება ტექნიკური პროფილაქტიკა. რეგულარულად მოწმდება ელექტრო და გათბობის სისტემები, რაც გამორიცხავს ავარიული შემთხვევების რისკს. შენობა აღჭურვილია ვენტილაციის, გათბობისა და განათების სისტემებით, რაც უზრუნველყოფს კომფორტულ სასწავლო გარემოს.
- უსაფრთხოების სისტემის გამართულ ფუნქციონირებაში აქტიურადაა ჩართული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს ინფრასტრუქტურის რეგულარულ მონიტორინგს, იდენტიფიცირებს შესაძლო რისკებს და ამზადებს რეკომენდაციებს მათი თავიდან აცილების მიზნით.
- გარდა ინფრასტრუქტურული ღონისძიებებისა, კოლეჯმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო ცნობიერების ამაღლებას. სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგები შრომის უსაფრთხოების თემებზე, მათ შორის პირველადი დახმარების უნარების განვითარება, ხელოვნური სუნთქვისა და გულზე მასაჟის პრაქტიკა, ასევე საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სიმულაციები.
- აღსანიშნავია, რომ უსაფრთხოების სისტემის ნაწილი წარმოადგენს მუდმივი მონიტორინგიც: რეგულარულად მოწმდება სასწავლო პროცესების მიმდინარეობა, ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის სისწორე და ელექტრონულ მართვის სისტემაში ასახული მონაცემების სიზუსტე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და სტუდენტებისა და პერსონალის სანდო მხარდაჭერას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება/განვითარება

- საანგარიშო პერიოდში კოლეჯში განხორციელდა პროგრამების ბენჩმარკინგი, რაც საშუალებას აძლევს დაწესებულებას შეადაროს საკუთარი გამოცდილება და შედეგები საუკეთესო პრაქტიკებსა და თანამედროვე სტანდარტებს.
- პროგრამების შეფასების პროცესში ჩართულნი იყვნენ პროგრამის განმახორციელებელი პირები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. მათი მხრიდან მიღებული უკუკავშირის ანალიზი დაეხმარა კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებაში.
- სტუდენტებმა ასევე შეაფასეს კოლეჯის სერვისები და მიმდინარე სემესტრებში მიღებული სასწავლო გამოცდილება.
- კვლევებისა და ანალიზის შედეგად გამოვლენილი საჭიროებები ასახული იქნა პროგრამების განვითარების პროცესში:
- განახლდა სასწავლო რესურსი;
- თემატიკა განახლდა,
- შეფასების საათები დაკორექტირდა ეფექტიანობის მიზნით.
- აღსანიშნავია, რომ ცვლილებები განხორციელდა მოქმედი სტანდარტებისა და რეგულაციების გათვალისწინებით. კოლეჯის მთავარი აქცენტი გაკეთდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული ხარისხის ამაღლებაზე, რაც საბოლოოდ აისახა სასწავლო პროცესის შედეგიანობაზე.

- საანგარიშო პერიოდში კოლეჯში მომზადდა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“, რომელიც გათვალისწინებულია ავტორიზაციისთვის წარსადგენად. პროგრამა შეიქმნა შრომის უსაფრთხოების ეროვნული მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი სტანდარტების გათვალისწინებით და მიზნად ისახავს სპეციალისტთა მომზადებას უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების სფეროში.

- განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის სრულფასოვანი და თანამედროვე ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

საანგარიშო პერიოდში კოლეჯის ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე დაფიქსირდა სტუდენტთა მაღალი დაინტერესება და აქტიური ჩარიცხვა. საშუალო შევსებადობის მაჩვენებელმა შეადგინა 98%, რაც მიუთითებს, რომ პროგრამების შერჩეული შინაარსი, სწავლის პირობები და პარტნიორული ქსელი სრულად შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და სტუდენტთა ინტერესებს.

პროგრამები:

ფარმაცია(სააფთიაქო)

საექთნო საქმე

აღმზრდელი

ინფორმაციის ტექნოლოგია

საფინანსო სერვისები

Your name won’t be shared. Never submit passwords. | 0 votes

მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროგრამები და კოლეჯის სოციალური პასუხისმგებლობა

საანგარიშო პერიოდში კოლეჯმა განახორციელა რიგი მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროგრამები, რომლებიც პასუხობდა შრომის ბაზრისა და ადგილობრივი საზოგადოების საჭიროებებს. აღნიშნული მიმართულება კოლეჯის სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან იგი:

- ხელს უწყობს დასაქმების შესაძლებლობების გაფართოებასა და უმუშევრობის შემცირებას;
- უზრუნველყოფს მოწყვლადი და სპეციალური საჭიროების მქონე პირების ჩართულობასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობას;
- ქმნის უწყვეტი განათლებისა და უნარების განახლების შესაძლებლობებს საზოგადოების ფართო ჯგუფებისთვის;
- აძლიერებს ადგილობრივი რეგიონის ეკონომიკურ და სოციალური განვითარების პროცესებს.

კოლეჯი აღნიშნულ საქმიანობას განიხილავს როგორც საზოგადოების წინაშე აღებული ვალდებულების შესრულების მნიშვნელოვან ნაწილს, რაც გამოხატავს მის სოციალურ პასუხისმგებლობას და გამიზნულია განათლებისა და პროფესიული უნარების გზით საზოგადოებრივი განვითარების ხელშეწყობაზე.

პროგრამები:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა
- ბავშვთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში
- ენის, მეტყველების და კომუნიკაციის უნარების განვითარება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში
- სალარო ოპერაციების განხორციელება
- კომპიუტერული ქსელის ორგანიზება-ადმინისტრირება
- ტექნოლოგიების გამოყენება ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში
- ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, ჰიგიენა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში
- პირველადი გადაუდებელი დახმარება

Your name won't be shared. Never submit passwords. | 0 votes

თანამერდოვე ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში/ინოვაციური სწავლების მეთოდები

კოლეჯი სასწავლო პროცესში ანვითარებს და ნერგავს თანამედროვე ტექნოლოგიებს, რომლებიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სწავლების ხარისხს, ზრდის სტუდენტთა ჩართულობას და ქმნის რეალურ სამუშაო გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ გამოცდილებას. ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს როგორც თეორიული ცოდნის გამყარებას, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარებას, რაც სტუდენტებს უკეთ ამზადებს შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებისთვის.

განხორციელებული აქტივობები:

- ელექტრონული სწავლების მიდგომების გამოყენება, რამაც გაზარდა სწავლების მოქნილობა და განათლების ხელმისაწვდომობა.
- VR ტექნოლოგიების დანერგვა – საანგარიშო პერიოდში სასწავლო პროცესში პირველად დაინერგა ვირტუალური რეალობის გამოყენება, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას უსაფრთხო და ინტერაქტიულ გარემოში აითვისონ პრაქტიკული უნარები.
- პილოტური გადამზადება – VR ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენების მიზნით გადამზადდა რამდენიმე პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომლებიც უკვე იყენებენ ინოვაციურ მეთოდებს სასწავლო პროცესში.
- გაფართოების პერსპექტივა – დაგეგმილია VR-სწავლების ინტეგრაციის გაფართოება და მეტი მასწავლებლის ჩართვა, რათა ტექნოლოგია სისტემატურად გამოიყენებოდეს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაში.
- სწავლების ხარისხზე გავლენა – VR-ის გამოყენებამ ხელი შეუწყო სტუდენტთა მოტივაციის გაზრდას, ჩართულობის გაღრმავებას და თეორიული მასალის უკეთ ათვისებას.

შეჯამება:

ინოვაციური სწავლების მეთოდების, მათ შორის VR ტექნოლოგიების დანერგვა, წარმოადგენს კოლეჯის სტრატეგიული განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებას. აღნიშნული მიდგომა არა მხოლოდ აუმჯობესებს სასწავლო პროცესის ხარისხს, არამედ ქმნის საფუძველს პროფესიული განათლების მოდერნიზაციისა და სტუდენტების შრომის ბაზრის გამოწვევებისთვის უკეთ მომზადებისათვის.

ადამიანური რესურსების განვითარება

- საანგარიშო პერიოდში კოლეჯში განხორციელდა მრავალმხრივი ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდა თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისა და ორგანიზაციული კულტურის გაძლიერებას.
- თანამშრომელთა საჭიროებების კვლევის საფუძველზე შეიქმნა ტრენინგ-მოდულები და განხორციელდა მათზე დაფუძნებული სასწავლო აქტივობები.
- ადმინისტრაციის თანამშრომლებს მიეცათ საშუალება მონაწილეობის მიეღოთ ტრენინგებში, კვალიფიკაციის ამაღლების კურსებსა და სასერთიფიკატო პროგრამებში, რაც ხელს უწყობს მათი კომპეტენციების ზრდას.
- თანამშრომლების მოტივაციისა და გუნდური სულისკვეთების გასაძლიერებლად განხორციელდა კორპორატიული ღონისძიებები;
- განხორციელდა კოლეჯის შინაგანაწესისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებია გაცნობა/გაზიარება, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის გამჭვირვალობას და წესრიგს.
- განხორციელდა ახალი პერსონალის მოზიდვა როგორც ადმინისტრაციული, ისე საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით, ხოლო მათი ადაპტაციის პროცესში ჩატარდა სოციალიზაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებები.
- პროფესიული განათლების მასწავლებლები ინტეგრირებულნი არიან დარგობრივ ქსელებში, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას გაიზიარონ საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილება, გამოიყენონ დარგობრივი ქსელების რესურსები და გააძლიერონ პროფესიული კავშირები.
- ადამიანური რესურსების განვითარების ღონისძიებებმა ხელი შეუწყო კოლეჯის პერსონალის პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას, თანამშრომელთა კმაყოფილების ამაღლებას და ორგანიზაციული კულტურის გაძლიერებას. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის სანდო საფუძველს კოლეჯის სტაბილური და ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის.

+93%

ადმინისტრაციის თანამშრომელთა 93% შენარჩუნებულია

სტუდენტთა მხარდაჭერა და ექსტრაკურიკულური აქტივობები

საანგარიშო პერიოდში კოლეჯმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებასა და მხარდაჭერის გაძლიერებას. სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე ჩატარდა საკონსულტაციო შეხვედრები, მათ შორის საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტის ჩარჩო-ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. ასევე განხორციელდა ტრენინგები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით.

გარდა სასწავლო პროცესისა, კოლეჯში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია არასაგნობრივ და კურიკულუმის გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებს. 2024 წელს ჩატარდა მრავალფეროვანი აქტივობები:

- სასერტიფიკატო კურსი „ციფრული მარკეტინგი“;
- ტრენინგი საკუთრების ფუნდამენტური უფლების შესახებ;
- ტრენინგი „პერსონალური მონაცემების დაცვა“;
- ცნობიერების ამაღლება შრომის უსაფრთხოების კუთხით;
- საოფისე პროგრამების სრული კურსი;
- ტრენინგი „კრიტიკული აზროვნება და არჩევნის თავისუფლება“;
- ტრენინგი კვლევის რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებზე;
- ყოველწლიური კონფერენციის „უნივერსიტეტები ევროპაში“ თემატიკის გაზიარება;
- ტრენინგი „პერსონალური მონაცემების დაცვა და კანონით გათვალისწინებული სიახლეები“;
- ცნობიერების ამაღლება პლაგიატის შესახებ;

- აღნიშნული ღონისძიებები ემსახურებოდა უწყვეტი განათლების ხელშეწყობასა და ცოდნის ამაღლებას სტუდენტებში. პარალელურად, აქტივობებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებაში, რადგან შეხვედრებისა და ტრენინგების თემატიკა ხშირად სცდებოდა მხოლოდ აკადემიურ ინტერესებს და ეხებოდა ისეთ უნივერსალურ საკითხებს, როგორიცაა პერსონალური მონაცემების დაცვა, შრომის უსაფრთხოება, კრიტიკული აზროვნება და ფუნდამენტური უფლებების დაცვა.

საბიბლიოთეკო რესურსების განვითარება

საბიბლიოთეკო რესურსების განვითარება კოლეჯის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის უწყვეტი განათლებისა და პროფესიული ზრდის ხელშეწყობას.

განხორციელებული აქტივობები:

- საანგარიშო პერიოდში საბიბლიოთეკო ფონდი შეივსო უახლესი ლიტერატურით და პერიოდული გამოცემებით, რაც მნიშვნელოვნად ზრდის როგორც დარგობრივი, ასევე ზოგადი განათლების რესურსებზე ხელმისაწვდომობას.

- გაიზარდა უნიკალური გამოცემების ფონდი, რომელიც მოიცავს თანამედროვე დარგობრივ ლიტერატურას და ცნობიერების ამაღლებაზე მიმართულ წიგნებს.

- ჩატარდა არაერთი საორიენტაციო და საინფორმაციო შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა სტუდენტებისა და პერსონალის წიგნის გამოყენების, სამეცნიერო წყაროების მოძიებისა და კვლევითი უნარების გაღრმავებას.

- საბიბლიოთეკო ფონდის გამდიდრებამ და საინფორმაციო აქტივობებმა უზრუნველყო სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის თანამედროვე, მრავალფეროვან და უნიკალურ საგანმანათლებლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა, რაც კიდევ უფრო აძლიერებს კოლეჯის საგანმანათლებლო გარემოს.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება

კოლეჯისთვის მნიშვნელოვანია ისეთი სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნა, რომელიც პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს და უზრუნველყოფს როგორც სტუდენტების, ასევე პერსონალის წარმატებულ საქმიანობას. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, IT რესურსების განვითარება და უსაფრთხო ციფრული სივრცის უზრუნველყოფა წარმოადგენს კოლეჯის სტრატეგიული განვითარების განუყოფელ ნაწილს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- სისტემატურად ხორციელდება აკადემიის ოფიციალური ვებ - გვერდის და სოციალური ქსელის ოპტიმიზაცია;
- ინფორმაციის დაცვა და ელექტრონული რისკების მართვა, რაც ხელს უწყობს სანდო და უსაფრთხო ციფრული გარემოს ჩამოყალიბებას.
- IT ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის კომპიუტერული ბაზის განახლება, პროგრამული უზრუნველყოფისა და სასწავლო პლატფორმების დახვეწა.
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და დარგობრივი ლაბორატორიების განახლება, რაც სტუდენტებს აძლევს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი პრაქტიკული უნარების განვითარებას.
- ინვენტარიზაციის განხორციელება, რაც უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან მართვასა და მიზნობრივ გამოყენებას.

აღნიშნული ღონისძიებები პირდაპირ უწყობს ხელს კოლეჯის სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას, სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გაძლიერებასა და თანამედროვე, უსაფრთხო და კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბებას.

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების სწავლება

კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, რომლის ჩართულობაც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ინდივიდუალური საჭიროებების შეფასებას და შესაბამისი მხარდაჭერის გაწევას. კოლეჯის შიდა რეგულაციებში ასევე გათვალისწინებულია რესურსების ადაპტირების მექანიზმები, რაც გარანტიას იძლევა, რომ ნებისმიერი სტუდენტი მიიღებს მის საჭიროებებზე მორგებულ გარემოს.

საანგარიშო პერიოდში კოლეჯში სწავლობდა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ერთი სტუდენტი. მის შემთხვევაში სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი ადაპტაციის საჭიროება არ გამოვლენილა, თუმცა კოლეჯმა უზრუნველყო თანაბარი და ინკლუზიური სასწავლო გარემო.

სტუდენტის ჩართულობა მნიშვნელოვანი იყო კოლეჯისთვის, რადგან კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა ინდივიდუალური მიდგომითა და მხარდაჭერის მექანიზმებით უზრუნველყოს ინკლუზიური განათლება.

ამ პრაქტიკამ კოლეჯს მოუტანა გამოცდილება, რომელიც მომავალში დაეხმარება განსაკუთრებული საჭიროების მქონე სტუდენტების მხარდაჭერის სისტემის კიდევ უფრო სრულყოფაში.

საბავშვო სივრცე

- საანგარიშო პერიოდში კოლეჯში ფუნქციონირებდა საბავშვო სივრცე, რომელიც განკუთვნილია როგორც სტუდენტების, ასევე თანამშრომლების ბავშვებისთვის. აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს სტუდენტებისა და პერსონალის მხარდაჭერას, რათა მათ შეძლონ სასწავლო და სამუშაო პროცესში სრულფასოვანი მონაწილეობა, ბავშვებისათვის კი შეიქმნას უსაფრთხო და კომფორტული გარემო.
- საბავშვო სივრცე აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მოსახერხებელი პირობებით. სივრცე უზრუნველყოფს როგორც დასვენების, ასევე შემოქმედებითი და შემეცნებითი აქტივობების ჩატარების შესაძლებლობას.
- საბავშვო სივრცის გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს კოორდინატორი, რომლის ძირითადი პასუხისმგებლობაა ბავშვთა საჭიროებების გათვალისწინება, ყოველდღიური საქმიანობის ორგანიზება და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.
- აღნიშნული პრაქტიკა წარმოადგენს კოლეჯის სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილისა და ინკლუზიური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას.

კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი

კოლეჯისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია კურსდამთავრებულთა დასაქმების მხარდაჭერა და მათი პროფესიული რეალიზაციის ხელშეწყობა. დასაქმების ანალიზი საშუალებას იძლევა შეფასდეს საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანობა და მათი შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

დასაქმებული პროფესიით 61%

დასაქმებული სხვა სფეროში 19%

აგრძელებს სწავლას 11%

ჯერჯერობით დაუკონკრეტებელი სტატუსი 9%

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი, რომელიც მოიცავდა როგორც შიდა კვლევას, ასევე პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შედეგების შეფასებას.
- დაკვირვება და გამოკითხვა აჩვენებს, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა დასაქმებულია პროფესიის მიხედვით, რაც ადასტურებს პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას.
- კურსდამთავრებულთა ნაწილი საქმიანობს კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციებში, სადაც მათ გაიარეს საწარმოო პრაქტიკა, რაც ხაზს უსვამს პარტნიორული ქსელის მნიშვნელობას.
- გარკვეული კურსდამთავრებულები აგრძელებენ განათლებას უფრო მაღალ საფეხურზე, რაც ასევე მოწმობს მიღებული ცოდნის ხარისხსა და საფუძვლიანობას.

კოლეჯის ინტერნაციონალიზაცია

საანგარიშო პერიოდში კოლეჯმა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. კოლეჯის ვებგვერდი ნაწილობრივ ითარგმნა ინგლისურ ენაზე და შეიქმნა სპეციალური გვერდი „საერთაშორისო ურთიერთობები“, სადაც განთავსდა ინფორმაცია კოლეჯის მიმდინარე საქმიანობისა და დაგეგმილი თანამშრომლობების შესახებ. მომზადდა პოლიტიკის დოკუმენტი. პარალელურად შემუშავდა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა საწყისი ვერსია, აგრეთვე სტრატეგიული დოკუმენტი. კოლეჯმა დაიწყო საერთაშორისო პარტნიორების მოძიების პროცესი და პერსონალის განვითარება ამ მიმართულებით – მათ შორის საერთაშორისო პროექტში მონაწილეობის გზით.

რატომ იყო მნიშვნელოვანი:

ინტერნაციონალიზაცია კოლეჯისთვის პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელიც უზრუნველყოფს განათლების ხარისხის ზრდას, საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებასა და ახალი პარტნიორობების გაძლიერებას. ამ პროცესში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციის ზრდა და პარტნიორებთან აქტიური კომუნიკაცია ქმნის მდგრადი განვითარების საფუძველს.

რა მოუტანა კოლეჯს:

მიღწეულმა შედეგებმა კოლეჯს მისცა პირველი საფუძველი საერთაშორისო ინტეგრაციისთვის – გაჩნდა საინფორმაციო სივრცე უცხოელი დაინტერესებული მხარეებისთვის, ჩამოყალიბდა პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტები და დაიწყო პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო ინიციატივებში.

გადადებული ეტაპები:

ინტერნაციონალიზაციის პროცესის ნაწილი სრულად ვერ დასრულდა მიმდინარე წელს და გადავიდა მომდევნო წლის გეგმაში. კერძოდ: ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და გეგმის საბოლოო დამტკიცება, სტრატეგიული დოკუმენტის სრულყოფა, პარტნიორებთან მოლაპარაკებების დასრულება და დაგეგმილი საერთაშორისო პროექტის განხორციელება.

ფინანსური მდგრადობა

საანგარიშო პერიოდში კოლეჯმა უზრუნველყო ფინანსური მდგრადობა. ინსტიტუციას აქვს მყარი ფინანსური საფუძვლები და ჩამოყალიბებული იმიჯი, რაც განაპირობებს სტუდენტთა მუდმივ ინტერესს და უზრუნველყოფს განსაზღვრული კვოტების სრულ შევსებას. სტაბილური მოთხოვნა პროგრამებზე წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ გარანტიას, რომ კოლეჯის შემოსავლები სრულ შესაბამისობაშია დაგეგმილ ბიუჯეტთან.

ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის პროცესში კოლეჯი ხელმძღვანელობს წინასწარ განსაზღვრული მინიმალური რენტაბელობის ზღვრის დაცვით, რაც იძლევა ეფექტიანი რესურსების მართვისა და ფინანსური რისკების თავიდან აცილების შესაძლებლობას. აღნიშნული მიდგომა აძლიერებს კოლეჯის საიმედოობას როგორც სტუდენტებისთვის, ისე პარტნიორი ორგანიზაციებისთვის.

საერთო ჯამში, საანგარიშო პერიოდში კოლეჯის ფინანსური საფუძვლები იყო სტაბილური და მდგრადი, რაც ქმნის გარანტიას როგორც მიმდინარე საქმიანობის წარმატებით წარმართვისთვის, ასევე მომავალი განვითარების და ახალი პროგრამების განხორციელებისთვის.



მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი

იმედი, შენი პროფესიული არჩევანი!

განხორციელებული მონიტორინგის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ კოლეჯის სტრუქტურულმა ერთეულებმა წარმატებით გაართვეს თავი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას. ამოცანათა უმეტესი ნაწილი სრულად განხორციელდა, ხოლო ნაწილზე მუშაობა დროში გაგრძელდა. ამავდროულად გამოიკვეთა მიმართულებები, რომლებიც საჭიროებენ ოპტიმიზაციასა და შემდგომ განვითარებას.

www.collegeimedi.edu.ge
www.imediprof.edu.ge

1	*	სავალდებულოდ დაგეგმილი	შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში
2	ს	საქმიროებისამებრ	
3	ს.გ.შ.	სასწავლო გეგმის შესაბამისად	

N	აქტივობები შენიშვნა: "ს" ნიშნით აღნიშნულია აქტივობები, რომლებიც განხორციელდება საჭიროებისამებრ.	წელიწადის თვე													ძირითადი ინდიკატორები/ სამიზნე ნიშნულები/შესრულების მტკიცებულებები	საჭირო რესურსი				შესრულების სტატუსი
		IX	X	XI	XII	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX		ადამიანური		ფინანსური	მატერიალური რესურსი	
		2024-2025														პასუხისმგებელი პირ(ებ)ი	შემსრულებლები/პროცესში ჩართული პირები	დაფინანსების ოდენობა/დაფინანსების წყარო		
1. სტრატეგიული მიზანი - ორგანიზაციული განვითარება																				
	ამოცანა 1.1. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება-განხორციელება-განვითარება																			
1.1.1.	ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის მომზადება												•		სამოქმედო გეგმის (ერთწლიანი) ანგარიში; კოლეჯის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ანგარიში.	დირექტორი	კოლეჯის პერსონალი საკუთრი კომპეტენციის ფარგლებში	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულებულია
1.1.2.	ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება/დამტკიცება												•	•	დირექტორის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმა (ერთწლიანი); სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები; კოლეჯის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული გეგმა.	დირექტორი	კოლეჯის პერსონალი საკუთრი კომპეტენციის ფარგლებში ; პარტნიორი ორგანიზაციებიდან მოწვეული პირები;კურსდამთავრებულები	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულებულია
1.1.3.	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი						•						•		მონიტორინგისა და შეფასების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესტრულების ანგარიში; შეფასების შედეგებზე რეაგირების მტკიცებულებები.	დირექტორი	კოლეჯის პერსონალი საკუთრი კომპეტენციის ფარგლებში	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულებულია
1.1.4.	კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების სინქრონიზაცია არსებულ კანონმდებლობასთან	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ცვლილებებით დამტკიცებული მარეგულირებელი დოკუმენტები	ხარისხის მართვის მენეჯერი	დირექტორი; კოლეჯის პერსონალი საკუთრი კომპეტენციის ფარგლებში	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულებულია
ამოცანა 1.2. ხარისხის უზრუნველყოფა (დაგეგმვა, განხორციელება,შეფასება, განვითარება)																				

